საქართველოს მთავრობის

დადგენილება №557

2025 წლის 19 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, III, №33, 31/03/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“:

1. 70-ე – 74-ე გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„70	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატის გაცემა (გარდა 70^1 გრაფით გათვალისწინებული შემთხვევისა)	5 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე, შაბათ-კვირა ან უქმე დღე	200 ლარი 300 ლარი
70^1	ცოცხალი ცხოველების ექსპორტის დროს ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატის გაცემა	1 დღე	300 ლარი
71	ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემა საქონლის ინსპექტირების გარეშე (გარდა 71^1 და 71^2 გრაფებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)	5 სამუშაო დღე შაბათ-კვირა ან უქმე დღე	100 ლარი 300 ლარი
71^1	ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემა საქონლის ინსპექტირებით (გარდა 71^2 გრაფით გათვალისწინებული შემთხვევისა)	5 სამუშაო დღე შაბათ-კვირა ან უქმე დღე	250 ლარი 300 ლარი
71^2	საფოსტო გზავნილზე, მგზავრის ბარგსა და ხელბარგზე ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემა	5 სამუშაო დღე	50 ლარი 200 ლარი

		შაბათ-კვირა ან უქმე დღე	
72	ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემა	20 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	100 ლარი 200 ლარი 300 ლარი
73	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის/ტრანზიტის ნებართვის გაცემა	20 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	100 ლარი 200 ლარი 300 ლარი
74	სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემა, გარდა გამოფენაზე გასატანი ან/და ნიმუშად წარსადგენი სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარისა	5 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	100 ლარი 150 ლარი 300 ლარი“.

2. 121-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„121	სურსათის/ცხოველის საკვების ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემა	5 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	100 ლარი 150 ლარი 300 ლარი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 15 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**